

„გოლდმედი“
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/კ 202455128

**2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება**

სარჩევი:	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საქმიანობის შედეგები	3
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:	4-8

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ.

სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/

მაია ყორბესაშვილი /მთ. ბუღალტერი/

თარიღი 7 სექტემბერი 2024

ფინანსური ანგარიშგება			
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის			
	2023წ.31 დეკემბრის მდგომარეობით	2023წ.1 იანვრის მდგომარეობით	2022წლის 1 იანვრის მდგომარეობით
საინვესტიციო ქონება			
გადავა			
ძირითადი საშუალებები	297822	297526	309745
არასასოფლო სამეურნეო	150000	150000	150000
სხვა გრძელვადიანი აქტივი			
სულ გრძელვადიანი აქტივები	447822	447526	459745
გადახდილი ავანსები	306677	246291	749763
მარაგები	1641348	2173860	1320823
სავაჭრო მოთხოვნები	800487	1022301	834051
სხვა მიმდინარე აქტივები	31614	30981	29804
ფულადი სახსრები	379166	292580	1068353
სულ მიმდინარე აქტივები	3159292	3766013	4002794
სულ მთლიანი აქტივები	3607114	4213539	4462539
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	3417690	4029568	4202473
საწესდებო კაპიტალი			
ცვლილებები გაუნ. მოგებაში	-190514	-160960	-153251
კაპიტალის კორექტირება	-5674	-1655	90
დივიდენდი	-1079579	-912105	-868421
გაუნაწილებელი	4029568	4202473	3620498
მიმდინარე პერიოდის	663889	901815	1603557
სულ კაპიტალი	3417690	4029568	4202473
გრძელვადიანი			
გრძელვადიანი სასესხო			
სულ გრძელვადიანი			
მიღებული ავანსი	2571	533	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2519	5008	14920
სავაჭრო და სხვა კრედიტ.	174554	176128	235489
საბიუჯეტო	9780	2302	9657
მიმდინარე სასესხო			
სულ მოკლევადიანი	189424	183971	260066
სულ ვალდებულებები	189424	183971	260066
სულ კაპიტალი და	3607114	4213539	4462539

სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/

/-----/

	31/12/2023	31/12/2022
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	3180897	4196308
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1984029	-2598688
საერთო მოგება	1196868	1597620

სხვა შემოსავალი	15364	30704
დასაქმებულთა ანაზღაურება	-484838	-549220
კომუნალური ხარჯი	-9199	-10588
ცვეთა და ამორტიზაცია	-12900	-15428
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-59316	-55256
ვადაგასული მარაგების ხარჯი	-35194	-56984
იჯარა		
დაზღვევა	-3130	-1771
საწვავის ხარჯი	-11138	-16152
სხვა საოპერაციო შემოსავალი	24565	8989
საპროცენტო ხარჯი		
სულ საოპერაციო ხარჯები	-575786	-665706
სულ საოპერაციო მოგება	621082	931914
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო	14141	-24594
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	28666	-5505
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	663889	901815
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	663889	901815

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
პერიოდის საშუალოების გათვალისწინებით	-	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
გადასახადების შემოსავალი / (ზარალი):		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	4029568	4202473
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1079579	-912105
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში და კაპიტალში	-5674	-1655
ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-190514	-160960
კაპიტალის სხვა ცვლილებები	663889	901815
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3417690	4029568

შპს „გოლდმედი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოლდმედი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2008 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო სახარჯი და სამშენებლო მასალის საბითუმო და საცალო რეალიზაცია კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართით საქართველო, 0131, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კათოლიკოსი აბრაჰამ I ქუჩა #26

შენიშვნა 2

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მიერ, მეორედ მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება,

ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები. აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა

შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება,

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა 1,7%

ტექნიკა და

ელ.მოწყობილობები 10%

სატრანსპორტო

საშვალეები 20%

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 10%

არამატერიალური აქტივი 10%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად

შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდით“ (MIDL) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს,

არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის)

საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზარდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის

გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის

გამოყენებით.

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31/12/2023	01/01/2023	01/01/2022
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	5230	3168	133907
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	373936	289412	934446
სულ	379166	292580	1068353

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2023	01/01/2023	01/01/2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	800487	1022301	834051
გადახდილი ავანსები	306677	246291	749763
სულ	1107164	1268592	1583814

შენიშვნა 5

მარაგები

	31/12/2023	01/01/2023	01/01/2022
მარაგები	1641348	2173860	1320823
სულ	1641348	2173860	1320823

რეალიზებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 2045742 ლარი მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 1984029 ლარი. ამავე პერიოდში ჩამოწერილი და განადგურებულ იქნა 34206 ლარის ვადაგასული პროდუქცია, რომლის განადგურებისათვის გადახდილი იქნა მომსახ.ხარჯი 988 ლარი. უკან დაბრუნებულმა საქონელმა შეადგინა 450 ლარი. იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში. ასევე ჩამოწერილი იქნა ტენდერებში მონაწილეობისას ნიმუშების სახით გამოყენებული 742 ლარის საქონელი, რომელსაც დაკარგული ქონდა სარეალიზაციო სახე. დანაკლისის სახით აღიარებული იქნა 12194 ლარის საქონელი, რომელშიც ასევე შედის 3926 ლარის საწვავიც და დანაკლისი დაბეგრილი იქნა კანონმდებლობის შესაბამისად. საქონელზე გაწეულმა სხვადასხვა მომსახ. ხარჯმა შეადგინა 815 ლარი. ასევე ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილია საქონელი 17568 ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებული შემოსავლად და ჩართული მოგება-ზარალის გაანგარიშებაში, უკან მიბრუნებულმა საქონლის ღირებულებამ შეადგინა 141 ლარი მარაგების ნაწილს შეადგენდა საწვავის ღირებულება 11105 ლარის ოდენობით, რომლიდანაც საანგარიშო პერიოდში ათვისებული იქნა 11138 ლარის საწვავი. საქონლის კორექტირების ტანხამ შეადგინა 167 ლარი.

ძირითადი საშუალებები
ღირებულება ან გადაფასებული თანხა

	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტ ო საშუალება	შენობა	დაუმთავრებელი მშენებლობა
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	13173	55376	287382	
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	3266			
გადაფასების კორექტირება				
გაყიდვები/ჩამოწერა	130			
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16309	55376	287382	0
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	2710	12680		
გაყიდვები/ჩამოწერა	2411	27785		
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16608	40271	287382	0
ცვეთა და გაუფასურება				
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5099	18486	22601	
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	1668	8875	4886	
გაყიდვის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა				
გაყიდვა/ ცვეთის ჩამოწერა	-74	-		
გადაფასების კორექტირება				
გაუფასურება				
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6693	27361	27487	
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	727	7287	4886	
გაყიდვა/ ცვეთის ჩამოწერა	-4331	-23671		
მიმდინარე წლის დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთის ხარჯი				
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3089	10977	32373	
საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8074	36890	264781	
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9616	28015	259895	
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13519	29294	255009	
სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/ მაია ყორბესაშვილი /მთ. ბუღალტერი/				

	2023	2022	2021
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალიანება	174554	176128	235489
საბიუჯეტო გადასახდელები მიმდინარე	9780	2302	9657
სასესხო ვალდებულება	0		
მიღებული ავანსი	2571	533	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	2519	5008	14920
სულ მოკლევადიანი ვალდებულება	189424	183971	260066
გრძელვადიანი სასესხო დავალიანება		0	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	189424	183971	260066

სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/